

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის

ოქმი N 15

ქ.ვანი თავისუფლების N65

27 აგვისტო 2018 წელი

13 : 00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, ვია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, ვია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

**საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:** მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

**მოწვეული პირები:**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **ივანე მამფორია.**  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

**დღის წესრიგი**

1., „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ივანე მამფორია/

**დაადგინეს;** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ დადგენილების პროექტის

მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა იზრდება 525,0 ათასი ლარით. ბიუჯეტის ცვლილება განპირობებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში 2018 წლის 23 აგვისტოს N1666 განკარგულებით განხორციელებული ცვლილებებით, რის შედეგად ვანის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის მოცულობა გაიზარდა 500,0 ათასი ლარით, ამადლება - საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის /კოპიტნარის მიმართულებით/ მიზნით. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების მოცულობა განისაზღვრა 6792,4 ათასი ლარით. პროექტის თანადაფინანსების განხორციელებისათვის საკუთარი შემოსულობების ნაწილში 25,0 ათასი ლარით გაიზარდება მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის. გადასახდელების ნაწილში საბიუჯეტო პროგრამა „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა“ გაიზრდება 525,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

წარმოდგენილი საკითხი მაზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

#### **დაადგინეს:**

დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*/დანართი N2/*

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე